მარიამ გელხაური •

ახალგაზრდობის დღე საქართველოსა და მსოფლიოში ••

აბსტრაქტი

ახალგაზრდობის როლი თანამედროვე მსოფლიოს პროგრესში მნიშვნელოვანია. მათი გამოწვევებისა და შესაძლებობების აქტუალიზირება კი ნებისმიერი ქვეყნის მთავარ პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს. სწორედ, ამ მოტივით აღინიშნება 12 აგვისტო ახალგაზრდობის საერთაშორისო დღედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველშიც.

წინამდებარე ნაშრომში ასახულია ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის - 12 აგვისტოს აღნიშვნის ტენდენციები განვითარებულ დასავლეთსა და განვითარებად სტადიაზე მყოფ საქართველოში. როგორც ირკვევა, ქვეყნის განვითარების დონე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ახალგაზრდა სეგმენტზე ფოკუსირებასა და შესაბამისად, ახალგაზრდობის საერთშორისო დღის მასშტაბსაც.

საქართველოში ახალგაზრდობის დღის აღნიშვნის მაგალითების მიმოხილვით დგინდება, რომ დასავლური ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველში ეს დღე ნაკლებად პოპულარიზებულია და შედარებით პრიმიტიული აქტივობებით აღინიშნება, როგორებიცაა სპორტული შეჯიბრებები, ფოტოგამოფენები და სხვა. თუმცა, ბოლო წლებში, შეინიშნება 12 აგვისტოს პოპულარიზების ტენდენციებიც. გამოიკვეთა, შედარებით გააქტიურება ახალგაზრდობის დღის აღნიშვნისას,

---

• ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მიმართულების დოქტორანტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი

•• მოხსენება 2022 წლის 30 ივნისს პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ კონფერენციაზე „მეხსიერების პოლიტიკა საქართველოში: წარსული და თანამედროვეობა“

რაშიც საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ახალგაზდობის სააგენ-ტოს როლი უმნიშვნელოვანესია.

მნიშვნელოვანია, მოხდეს საზოგადოებაში ცნობიერების ამაღ-ლება ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისა და მისი აღნიშვნის შე-სახებ. ამ პროცესში სახელმწიფოს სხვადასხვა ინსტიტუციების როლი უმნიშვენლოვანესია. წინამდებარე მოხსენების მთავარი ღირებულება კი, სწორედ, ამ დღის პოპულარიზების გაზრდას ემასხურება, რაც პირ-დაპირპროპორციულად აისახება მომავალი თაობის გაძლიერებაზე.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში საზოგადოების პროგრესი უმნიშვნე-ლოვანესია. საზოგადოება სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიისაგან შედგება, რომელთა შორისაც ახალგაზრდობა ის სეგმენტია, რომელიც ნებრისმიერი ქვეყნის მომავალ თაობას წარმოადგენს. გამომდინარე ახ-ალგაზროდობის მნიშვნელოვანი როლისა ქვეყნის სამომავლო ყოფაში, მათი სათანადო სოციალიზაცია უმნიშვნელოვანესია.

საქართველო განვითარებად ქვეყანათა რიცხვს განეკუთვნება, სა-დაც დამუკიდებლობის მოპოვების შემდეგ უამრავ გამოწვევასთან მოგვიწია და დღემდე გვიწევს გამკლავება. ქვეყანაში არსებული კრი-ზისები, დიდ გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე, განსა-კუთრებით, იმ სეგმენტზე, რომელსაც ეტაპობრივად უწევს ყველაფ-რის გააზრება. საქართველოს მოსახლეობის 25%-ს 15-დან 29 წლამდე ახალგაზრდები შეადგენენ. ახალგაზრდების სოციალიზაციის პროცეს-ში ქვეყნის უამრავი ინსტიტუტია წარმოდგენილი. საქართველოში არ-სებული სხვადასხვა სოციალური თუ პოლიტიკური კრიზისები ნეგა-ტიურად აისახება ახალგაზრდების განვითარებასა და მათ სათანადო რეალიზებაზე. „ტრადიციული ღირებულებების დომინანტურობა შე-საძლოა აიხსნას ტრადიციული სოციალური გარემოს გავლენით, რო-მელშიც ახალგაზრდები ახდენენ სოციალიზაციას მათ ბავშვობასა და ახალგაზრდობაში“ (ფრიდრიხ ერბერტის ფონდი, 2016, გვ. 11).

ახალგაზრდობა ასაკობრივი ჯგუფის პერიოდია, რომლის ზუსტი უნივერსალური დეფინიციაც არ არსებობს, არსებობს სხვადასხვა საერთაშორისო განმარტებები, მაგალითად გაეროსა და ევროკავშირის, რომლებიც განსხვავებულ ასაკობრივ ჭრილში მოიაზრებენ ახალგაზრებს.

12 აგვისტოს ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეა. ამ დღეს მსოფლიოს დასავლური ქვეყნები ოფიციალურად, სხვადასხვა ღონიძიებებით, აქტივობებით აღნიშნავენ, მათ შორის საქართველშიც. თუმცაღა, 12 აგვისტო ქართველი მოქალაქეებისთვის უფრო სხვა ისტორიულ დღესასწაულთან ასოცირდება და მოქალაქეთა საკმაოდ მცირე ნაწილმა თუ იცის, რომ ახალგაზრდობას აქვს დღე, რომელიც მათია. წინამდებარე ნაშრომში, ჩვენ დავინტერესდით, სწორედ, ამ დღესასწაულით - ახალგაზრდობის საერთაშორისო დღით. ჩვენი მიზანი იყო, განგვესაზღვრა ახალგაზრდობის დღის აღნიშვნის სპეციფიკა სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის ჩვენ ქვეყანაშიც, ასევე, გამოგვეკვლია ის სათავეები, რომლებიც ახალგაზრდობის დღის აღნიშვნას უკავშირდება. ნაშრომის ფარგლებში დავისახეთ საკვლევი კითხვები:

1. როგორ აღინიშნება ახალგაზრდობის დღე სხვადასხვა ქვეყნებში?
2. როგორ დაიწყო ახალგაზრდობის დღის აღნიშვნა?
3. რა ძირითადი განსხვავებებია ახალგაზრდობის დღის აღნიშვნისა საქართველოსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში?

იმისთვის, რომ გვეპასუხა ჩვენ მიერ დასმულ კითხვებს, დავისახეთ ამოცანები, რითიც მივაღწიეთ მინზანს, კერძოდ:

1. მოვიძიეთ ის აქტივობები, რომლებიც იმართება ამ კონკრეტულ დღეს სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში
2. განვსაზღვრეთ მიზანი - ახალგაზრდობის დღის აღნიშვნისა
3. იდენტიფიცირება მოვახდინეთ ახალგაზრდობის დღის პოპულარიზაციის მასშტაბებისა

ახალგაზრდობის დღის აღნიშვნა და სხვადასხვა აქტივობებით ახალგაზრდების წახალისება, მათ გამოწვევებზე საუბარი და ამ გამოწვევების დაძლევის გზების ძიება, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით, რადგან ახალგაზრდობა ნებისმიერი ქვეყნისთვის მომავალი თაობაა და მათი შესაბამისი ჯანსაღი განვითარება პირდაპირპროპორციულად აისახება ქვეყნის სამომავლო განვითარებაზეც. ვფიქრობ, ახალგაზრდობის დღე სწორედ ამ ყველაფრის პოპულარიზებას უნდა ეთმობოდეს ნებისმიერ ქვეყანაში. თუმცა, ჩვენივე ვარაუდით, რაც უფრო განვითარებადია ქვეყანა, მით უფრო ნაკლებად აღნიშნება ახალგაზრდობის დღე, რაც ხელს უშლის ახლგაზრდობის განვითარებას და მათი პრობლემების დაძლევას. წარმოდგენილ ნაშრომში გაანალიზებული სხვადასხვა ფაქტების, სტატისტიკებისა და მასალების ანალიზზე დაყრდნობით, ვეცდები, დავასაბუთო წარმოდგენილი მტკიცება.

რას ნიშნავს ახალგაზრდობის დღე?

ახალგაზრდობის დღე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში 12 აგვისტოს აღინიშნება. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე ყურადღებას ამახვილებს იმ სირთულეებზე, რომლებსაც ახალგაზრდების ნაწილი განიცდის მთელ მსოფლიოში. ეს დღე შეიქმნა გაეროს მიერ, რათა დაეხმაროს საზოგადოებას სხვადასხვა ახალგაზრდულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლებაში. 12 აგვისტო აერთიანებს ახალგაზრდებს და მიზნად ისახავს განახორციელოს ისეთი ინიციატივები და ქმედებები, რომლებიც გაზრდის მათ შესაძლებლობებს. იუნესკოს გენერალური დირექტორი ირინა ბოკოვა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით წერილში წერს: „ახალგაზრდები არ არიან მხოლოდ ჩვენი მომავალი, ისინი არიან ჩვენი აწმყო… ისინი არიან ყველაზე დაკავშირებული, ყველაზე გულწრფელი და ყველაზე ღია თაობა, რომელიც სამყაროს ოდესმე უნახავს" (Bokova, 2017).

მსოფლიოს ახალგაზრდები აწყდებიან სხვადასხვა გამოწვევებს და ბარიერებს კეთილდღეობისთვის ბრძოლაში. ეს კი დამოკიდებულია იმაზე, მსოფლიოს რომელ ნაწილში ცხოვრობენ. განვითარებულ ან განვთარებად ქვეყნებში მცხოვრები ახალგაზრდები უფრო ფსიქიკური და სოციალური გამოწვევების წინაშე დგანან, ხოლო ახალგაზრდები, რომლებიც განუვითარებელ ქვეყნებში ცხოვრობენ, აწყდებიან უკიდურეს პრობლემებს, რომლებიც გამოწვეულია ისეთი ძირითადი საჭიროებების ნაკლებობით, როგორებიცაა განათლება, ჯანმრთელობა, დასაქმება და სხვა (Nationaltoday.com, 2022).

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე არ უნდა აგვერიოს ახალგაზრდობის მსოფლიო დღესთან. ახალგაზრდობის მსოფლიო დღე დაარსა რომის პაპმა იოანე პავლე II-მ 1986 წელს და ერთგვარ რელიგიურ დატვირთვას ატარებდა. ახალგაზრდობის მსოფლიო დღე ყოველწლიურად ბზობის კვირას აღინიშნება.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მხარდაჭერილი დღესასწაულია, ხოლო ახალგაზრდობის მსოფლიო დღე კათოლიკური ტრადიციის ფარგლებში დაფუძნებული დღესასწაულია. მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკურად განსხვავებული ზეიმებია, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეც და ახალგაზრდობის მსოფლიო დღეც აღიარებს ახალგაზრდებს, როგორც მნიშვნელოვან ღირებულებას მთელი მსოფლიოსთვის.

ახალგაზრდობის დღე (12 აგვისტო) - საქართველოში

ბოლო წლებში საქართველში, ისევე როგორც მნსოფლიოს სხვა ქვეყნებში, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე აღინიშნება 12 აგვისტოს. ამ დღეს, ძირითადად, სხვადასხვა ახალგაზრდული აქტივობები იმართება, როგორებიცაა სპორტული, საგანმანათლებლო, გასართობი და მსგავსი. მაგალითად, 2020 წლის 12 აგვისტოს, მარნეულის მუნიციპალიტეტში, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე აღინიშნა, სადაც

წარმოდგენილი იყო სხვადასხვა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების პრეზენტაცია (cu.edu.ge, 2020).

ახალგაზრდობის დღეს ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებებიდან აღსანიშნავია აქციების ორგანიზება ახალგაზრდობის მიერ, როგორც კინომცოდნე გიორგი გვახარია აღნიშნავს, „მათ (ახალგაზრდების) აქციებს მკვეთრად გამოხატული სოციალური და პოლიტიკური ხასიათი აქვთ. მაგრამ საქართველოში ამის მიღწევა კვლავაც შეუძლებელი ხდება - ახალგაზრდული ზეიმები საშუალო დონის უფასო კონცერტებით და სპორტული შეჯიბრებებით აღინიშნება“ (გვახარია, 2011).

2014 წელს, გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ საქართველოში ჩატარებულ მასშტაბურ კვლევაში, ასახულია ახალგაზრდების საჭიროებებისა და მდგომარეობის ანალიზი საქართველოში. კვლევის მიხედვით, ახალგაზრდებს (საუბარია 15-29 წლის ადამიანებზე) უამრავ გამოწვევებთან უწევთ თანაცხოვრება, რაც ბუნებრივია აისახება მათ განვითარებასა და რეალიზებაზე. მაგალითად, შრომისუნარიან ადამიანებში ყველაზე მაღალი უმუშევრობის რიცხვი სწორედ, ახალგაზრდებში ფიქსირდება (31%) (Unicef, 2014). ასევე, დაბალია ახალგაზრდობის ჩართულობა ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც უშუალოდ მათ ეხებათ. ნაშრომი ღირებულია ახალგაზრდების საჭიროებებისა და პრობლემების ანალიზისთვის და მნიშვნელოვან ფუნდამენტს ქმნის თითოეული პრობლემის დაძლევის გზების დასახვაში. იგივე გამოწვევებზეა საუბარი 2016 წელს ჩატარებულ კვლევაში, რომლის მიხედვითაც, რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდებში ყოველი მეორე უმუშევარია (ფრიდრიხ ებერტის ფონდი, 2016, გვ. 14).

სწორედ, ამ კვლევის ჩატარების პერიოდში, 2014 წელს საქართველოში აღინიშნა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე, 12 აგვისტოს. ამ დღის ორგანიზებასა და იმპლემენტაციაში აქტიურად მონაწილეობდა სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. ამ დღის აღსანიშნავად სხვადასხვა რეგიონებში ჩატარდა ფოტოგამოფენები, არაფორმა-

ლური განათლების ხელშესაწყობად. საინტერესო იყო მიზანი, რომელიც ემსახურებოდა რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობის ამაღლებასა და სამომავლო ხედვების ჩამოყალიებებას. ამ დღეს ჩატარდა, ასევე, კონფერენცია და მონაწილეებს საჩუქრად წიგნები გადაეცათ (ირემაშვილი, 2014).

2016 წელს, 12 აგვისტოს აღსანიშნავად, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ახალგაზრდებს კიდევ ერთი საჩუქარი გაუკეთა - „10:00 საათიდან 17:30 საათამდე, 14-29 წლამდე ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის საქართველოს სხვადასხვა მუზეუმში შესვლა უფასო იქნება“ (okmagazine.ge, 2016).

თუ გადავხედავთ საქართველოში იმ ღონისძიებებს, რომლებიც ბოლო წლებში ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს იმართებოდა, აღსანიშნავია 2017 წელს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ჩატარებული ღონისძიება, რომელიც ფართო პროგრამას მოიცავდა და ძირითადად, გასართობი და სპორტული ღონისძიებებით შემოიფარგლებოდა (khelvachauri.ge, 2017). აღსანიშნავია, ასევე, ახალციხის მუნიციპალიტეტში ჩატარებული ახალგაზრდული ღონისძიებები და შეჯიბრებები, მუნიციპალიტეტის მერიას შემუშავებული აქვს ასევე ახალგაზრდული სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ახალგაზრდების სრულფასოვან განვითარებას (akhaltsikhe.ge, 2018).

უფრო აქტიურია ბოლო წლებში აღნიშნული ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე საქართველოში, ბოლო პერიოდში, მეტად ხდება სხვადასხვა ახალგაზრდების გამოწვევების პოპულარიზება. მაგალითად, 2020 წელს ამ დღესთან დაკავშირებული კამპანიის ფარგლებში ჩაიწერა მოკლე ვიდეო, სახელად „#მევირჩევთანასწორობას.“ ვიდეოში ახალგაზრდების მონაწილეობით ხაზგასმულია მათივე შესაძლებლობები სამყაროს შესაცვლელად (Council of Europe Office, 2020).

გაეროს მოსახლეობის ფონდის აქტიურობა ახალგაზრდობის მხარდაჭერის მიმართულებით საქართველოშიც აღსანიშნავია, მათთვის პრიორიტეტულია ახალგაზრდების არაფორმალური განათლე-

ბის განვითარება და სხვადასხვა მიმართულებით ახალგაზრდების გამოწვევების დაძლევა და ცნობიერების ამაღლება მათთვის საინტერესო თემებზე. ეს ყველაფერი კი, მათივე ხედვით, ახალგაზრდების გაძლიერების საწინდარია. გაეროს ფონდი თანამშრომლობს ახალგაზრდობის სააგენტოსთან და ჩართულია „სახელმწიფო ახალგაზრდული სტრატეგა 2025“ის შემუშავებაში (georgia.unfpa.org, 2021). წინა წელს, ამავე ვებგვერდზე ხაზგასმულია ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღნიშვნაც.

საქართველში ახალგაზრდობის გამოწვევების გადასაჭრელად და სხვადახვა მიმართულებით ცნობიერების ამაღლების კუთხით, საინტერესო პროექტია ბოლო წლებში ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შექმნილი ახალგაზრდული მუშაკის საქმიანობა, რომლის ფარგლებში სპეციალურად გადამზადებული ახალგაზრდული მუშაკები საქართველოს რეგიონებში ცდილობენ სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვასა და იმპლემენტაციას. მისასალმებელია, რომ ახალგაზრდობის სააგენტო გეგმავს ახალგაზრდული მუშაკის, როგორც პროფესიად დანერგვას, რაც, ვიმედოვნებთ, მნიშვნელოვანი პროგრესის საწინდარი იქნება საქართველში სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარებასა და სოციალიზაციაში. 2021 წელს პირველად ახალგაზრდული შესაძლებლობების ონლაინ პლატფორმა – youthplatorm.gov.ge შეიქმნა, რომლის შექმნაშიც საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანზაციები აქტიურად იყვნენ ჩართულნი, რაც მისასალმებელია და ახალგაზრების შესაძლებლობების პოპულარიზებისთვის მნიშვნელოვანი გადადგმული ნაბიჯია.

ახალგაზრდების დღის აღნიშვნა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში

გაეროს როლი ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის დაფუძნებასა და აღნიშვნაში უმნიშვნელოვანესია. სხვადასხვა რეზოლუციებით, 1965 წლიდან, გაერო აქტიურად უსვამს ხაზს ისეთ პრინციპებს,

რომლებიც საერთაშორისო ახალგაზრდული პოლიტიკის არსებობის საჭიროებას უკავშირდება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ახალგაზრდობის პირველი საერთაშორისო დღე 1985 წელს აღნიშნა. ათი წლის შემდეგ, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ახალგაზრდების მოქმედების მსოფლიო პროგრამა (WPAY), პოლიტიკისა და სახელმძღვანელო მითითებების ერთობლიობა, რომელსაც ერები უნდა მიემართა მსოფლიოს ახალგაზრდობის მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ. თუმცა, მხოლოდ 2000 წელს აღნიშნა მსოფლიომ პირველად 12 აგვისტო, როგორც ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის ღირებულებებსა და დღესასწაულზე დიდ გავლენას ახდენს WPAY-ის ძირითადი პრინციპები. მსოფლიო სამოქმედო პროგრამა ახალგაზრდებისთვის არის პოლიტიკისა და სახელმძღვანელო მითითებების სტრატეგიული ჩარჩო, რომელიც ხელმძღვანელობს ქვეყნებს ახალგაზრდების მხარდაჭერის, გაძლიერების და პირობების გაუმჯობესებაში. WPAY-ის მიზანია წაახალისოს ეროვნული ქმედებები ახალგაზრდებისთვის შესაძლებლობების რაოდენობისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად. საბოლოო მიზანი კი არის წაახალისოს ისინი იყვნენ საზოგადოების აქტიური ნაწილი. მთელს მსოფლიოში პროგრამა, ასევე, მოუწოდებს ახალგაზრდებს შეიკრიბონ და შექმნან ცნობიერება იმ რეალობის შესახებ, რომელსაც ახალგაზრდები აწყდებიან საკუთარ ქვეყანაში (UnitedNations, 2007).

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ღონისძიებები მთელი მსოფლიოს მასშტაბით იმართება. ამ დღეს მოწყობილი ღონისძიებებიდან აღსანიშნავია სხვადასხვა ადგილებზე ორგანიზებული აქტივობები, მაგალითად, სკოლებში, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებში, ახალგაზრდულ კლუბებში, სამუშაო ადგილებსა და სხვა. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე აღინიშნება ისეთი ღონისძიებებით, როგორებიცაა აღლუმები, სპორტული ღონისძიებები, კონცერტები, კონფერენციები, მოხალისეობრივი პროექტები და ახალგაზრდების მიღწევების გამოფენები. მაგალითად, 2012 წელს ტეხასის შტატში,

ახალგაზრდების ჯგუფი დაეხმარა სკოლის დასუფთავებასა და გაფორმებას. 2008 წელს ნიუ-იორკში ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს საჭადრაკო ტურნირში, მრგვალ მაგიდის დისკუსიებში და საერთაშორისო მოდის ჩვენებაში. აგვისტოში ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის დრო იდეალურია შეერთებულ შტატებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ამ დროს საზაფხულო არდადეგებზე იმყოფებიან სკოლიდან (americanenglish.state.gov, 2017).

ევროპის ქვეყნებში ახალგაზრობის დღის და ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ყოველწლიურად იმართება კვირეულები და სხვადასხვა საგანმანათლებლო და გასართობი ღონისძიებები. ამ პერიოდის აღნიშვნაში აქტიურად მონაწილეობს ერაზმუსი და მათი საგანმანათლებლო პროგრამები, მაგალითად, 2017 წელს გაიმართა ღონისძიება სახელწოდებით „ახალგაზრდები აშენებენ მშვიდობას“, რომელიც ყურადღებას ამახვილებდა ახალგაზრდების წვლილზე კონფლიქტების პრევენციაში, ასევე, ინკლუზიაზე, სოციალურ სამართლიანობასა და მშვიდობაზე. ღონისძიება ევროკავშირის მასშტაბით აღინიშნა (Banks, 2017).

დასკვნა

წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავდა მიმოგვეხილა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის არსი და განგვესაზღვრა მისი დაფუძნების სათავეები. 12 აგვისტო ახალგაზრდების საერთაშორისო დღეა მსოფლიოში. როგორც ირკვევა, ამ დღის მიზანი ახალგაზრდა სეგმენტზე ფოკუსირება და მათ გარშემო არსებული გამოწვევების წარმოჩენა და გადაჭრის გზების ძიებაა, ასევე, პრიორიტეტულია მათი ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა კუთხით, როგორიცაა არაფორმალური განათლება, ჯანდაცვა, საზოგადოებრივ აქტივობებში ჩართულობა და სხვა.

12 აგვისტო შედარებით ახალი დღესასწაულია, მისი აღნიშვნა 2000 წლიდან ხდება და გაეროს წვლილი ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის დაწესებაში უმნიშვნელოვანესია, რადგანაც გაერო მანამ-

დეც, დაარსების დღიდან-დღემდე, სხვადასხვა რეზოლუციების, ინიციატივების, აქტივობებისა და დოკუმენტების მეშვეობით აქტიურად ცდილობს ახალგაზრდების გაძლიერებასა და მათი შესაძლებლობების პოპულარიზებას.

ნაშრომის მიხედვით, თანამედროვე მსოფლიოს განვითარებად ქვეყნებში, 2000 წლიდან დღემდე, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე სულ უფრო აქტუალური ხდება და მეტი აქტივობებით აღინიშნება. დასავლეთის ქვეყნებში აქტიურად აღინიშნება 12 აგვისტო და ახალგაზრდების, როგორც საზოგადოების მნიშვნელოვანი სეგმენტის წინ წამოწევა, ეს მიგნება მოსალოდნელიც იყო, ჩვენი ვარაუდიც, სწორედ, განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებში ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს უკავშირდებოდა.

საინტერესო იყო საქართველოს მაგალითებიც, რომელიც განვითარებადი ქვეყანაა და სწორედ, საქართველოს მაგალითზე განვსაზღვრეთ ახაგაზრდობის საერთაშორისო დღის აღნიშვნის მასშტაბი. საქართველოში ეს დღე ფორმალურად დიდი ხანია არსებობს. ამის პარალელურად, ამ დღის აღნიშვნის მასშტაბი საკმაოდ მწირია. ძირითადი წყაროები მოიპოვება 2010 წლიდან, როცა სხვადასხვა პრიმიტიული აქტივობებით ხდება 12 აგვისტოს აღნიშვნა. ეს ტენდენცია განსხვავებულია მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებისგან, სადაც სხვადასხვა ადგილებში სხვადასხვა აქტივობებით ულოცავენ ხოლმე ახალგაზრდებს თავიანთ დღეს.

კვლევის ფარგლებში გავლენა მოახდინა სტატისტიკურმა მონაცემებმა, რომლებიც ხაზს უსვამს საქართველში ახალგაზრდობის გამოწვევებს. ქართველ ახალგაზრდებს ბევრი გამოწვევა ხვდებათ ირგვლივ, რომლის დაძლევაც საკმაოდ რთული და დროში გაწელილი პროცესია. ამის პარალელურად, სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ ახალგაზრდობის დღე და მათ გამოწვევებზე საუბარი ნაკლებად პრიორიტეტულია საქართველში. თუმცა, ბოლო წლების მოვლენებით, შედარებით გააქტიურდნენ ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები და

ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის მუნიციპალიტეტები. შეიქმნა ახალგაზრდების შესაძლებლობების ონლაინ პლატორმა, აქტიურად მკვიდრდება ახალგაზრდული მუშაკის ინსტიტუტი, გაეროს მოსახლეობის ფონდის ჩართულობით კი მუშავდება ახალგაზრდობის სამოქმედო სტრატეგია და სხვ.

საბოლოოდ, დავადგინეთ, რომ რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით უფრო მეტადაა ორიენტირებული ახალგაზრდობაზე, მათ გამოწვევებსა და საჭიროებებზე, შესაბამისად, მით უფრო ხდება ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღნიშვნა და ამ დღის პოპულარიზება. სამომავლოდ, საქართველოში მისასალმებელი იქნება 12 აგვისტოს, როგორც ახალგაზრდობის დღის მეტი პოპულარიზება და ახალგაზრდების ჩართულობით მეტი საინტერესო აქტივობების დაგეგმვა ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ინსტიტუციების ერთობლივი ძალისხმევით. ეს ყოველივე, ვფიქრობ, მაქსიმალურად გააძლიერებს ახალგაზრდობას, იმ თაობას, რომელიც ქვეყნის მომავალია...

გამოყენებული ლიტერატურა

გვახარია, გ. (2011, 07 14). ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე და ახალგაზრდული კონტრკულტურა. თბილისი, საქართველო. Retrieved 06 16, 2022, from https://www.radiotavisupleba.ge/a/24296643.html

ირემაშვილი, მ. (2014, 08 12). Retrieved from http://www.tavisupali.ge/: http://www.tavisupali.ge/siakhleebi/1930-akhalgazrdobis-saerthashoriso-dghe-saqarthveloshi.html?lang=ka-GE

ფრიდრიხ ერბერტის ფონდი. (2016). Retrieved from ibrary.fes.de: https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/13151-20170131.pdf

ფრიდრიხ ერბერტის ფონდი. (2016). *თაობა გარდამავალ პერიოდში, ახალგაზრდების კვლევა 2016 - საქართველო.* Retrieved 06 18, 2022, from https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/13151-20170131.pdf

(2017, 08 11). Retrieved from khelvachauri.ge: http://khelvachauri.ge/akhalgazrdobis-saertashoriso-dghe-2017-khelvachauris-munitsipalitetshi-ghonisdziebata-programa-da-ganrigi

akhaltsikhe.ge. (2018). Retrieved from www.akhaltsikhe.ge: https://www.akhaltsikhe.ge/ge/moipove-sazgvargaret-scavlis-dapinanseba

americanenglish.state.gov. (2017). Retrieved from https://americanenglish.state.gov/: https://americanenglish.state.gov/content-spotlight-international-youth-day-and-summer-activities#:~:text=International%20Youth%20Day%20is%20celebrated,clean%20and%20decorate%20a%20school.

Banks, M. (2017, 08 11). Retrieved 06 18, 2022, from www.theparliamentmagazine.eu: https://www.theparliamentmagazine.eu/news/article/eu-commission-marks-international-youth-day

Bokova, I. (2017, 08 12). *Unesco*. Retrieved 06 17, 2022, from whc.unesco.org: https://whc.unesco.org/en/news/1698

Council of Europe Office. (2020, 08 12). ხალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კამპანია. თბილისი,

საქართველო. Retrieved 06 18, 2022, from https://www.facebook.com/CoEOfficeinGeorgia/videos/

cu.edu.ge. (2020, 08 12). მსოფლიო ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე მარნეულში. საქართველო. Retrieved 06 16, 2022, from https://cu.edu.ge/ka/news-page/world-youth-day-marneuli

georgia.unfpa.org. (2021, 08 11). Retrieved 06 18, 2022, from georgia.unfpa.org: https://georgia.unfpa.org/

Nationaltoday.com. (2022). *national today*. Retrieved from https://nationaltoday.com/international-youth-day/

okmagazine.ge. (2016, 08 11). Retrieved from www.okarchive.okmagazine.ge: http://www.okarchive.okmagazine.ge/index.php/ok-techno/5190-khval-saqarthveloshi-akhalgazrdobis-saerthashoriso-dghe-aghinishneba

Unicef. (2014). Retrieved 06 19, 2022, from www.unicef.org: https://www.unicef.org/georgia/media/1131/file

UnitedNations. (2007, 12 18). Retrieved from www.un.org: https://www.un.org/esa/socdev/unyin/documents/wpay_text_final.pdf

Mariam Gelkhauri

The Day of Yuth in Georgia and in the World

Abstract

The role of youth is one of the decisive factors in the progress of the modern world. Realizing their challenges and opportunities should be the main priority of any country. This is the reason why August 12 is celebrated as the International Youth Day in different countries of the world, including Georgia.

This paper reflects the tendencies of celebrating the International Youth Day - August 12 in developed western and developing Georgia. As it turns out, the level of development of the country significantly determines the focus on the young segment and, consequently, the scale of the International Youth Day.

A review of examples of Youth Day celebrations in Georgia reveals that, unlike in Western countries, this day is less popular in Georgia and is celebrated with relatively primitive activities such as sports competitions, photo exhibitions and more. However, in recent years, August 12 popularization trends have also been observed. Revealed, relatively active in the celebration of Youth Day, in which the role of international organizations and the Youth Agency is crucial.

It is important to raise public awareness about the International Youth Day and its celebration. The role of various state institutions in this process is crucial. The main value of the present work is to increase the popularity of this day, which is directly proportional to the empowerment of the next generation.